



28.04.2021

მოგესალმებით,

ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის მორიგ ანგარიშს წარმოგიდგენთ, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ინფლაციისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები და წარმოდგენილია მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები.

მარტში წლიური ინფლაცია 7.2%-მდე გაიზარდა. ინფლაციის ზრდის მიზეზი კორონა ვირუსის გამო შექმნილი არაორდინარული ვითარებაა, რის გამოც ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით ერთდროულად რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა. საქართველო, როგორც ტურიზმზე მაღალდამოკიდებული ქვეყანა, კორონავირუსის პანდემიამ განსაკუთრებით დააზარალა. შედეგად, გაუფასურდა ლარის ეფექტური გაცვლითი კურსი, და ამან, როგორც ეს გრაფიკზეც ჩანს, ეტაპობრივად, ფასებზეც ჰპოვა ასახვა. პარალელურად, მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაძვირდა ფართო მოხმარების პროდუქტები, როგორებიცაა ხორბალი, მზესუმზირის ზეთი, შაქარი. მსოფლიოში ეკონომიკური აქტივობის აღდგენასთან ერთად გაიზარდა ნავთობზე მოთხოვნა და ფასებიც, რამაც საწვავიც გააძვირა. პანდემიის შესაკავებლად არსებული შეზღუდვების გამო, კომპანიებს საოპერაციო ხარჯები გაეზარდათ, რაც, გარკვეულწილად, საბოლოო ფასებზეც აისახა. ამასთან, ჯერ კიდევ დაბალი გამოშვების ფონზე, პროდუქციაზე საშუალო დანახარჯები კვლავ მაღალია, რაც ინფლაციაზე დამატებით აღმავალ ზეწოლას განაპირობებს. მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო, 2020 წლის დეკემბერში კომუნალური გადასახადების ინდექსები ნოემბერთან შედარებით შემცირდა, ხოლო 2021 მარტში ეს ინდექსები ნოემბრის დონესთან შედარებით მცირედით გაიზარდა. თუმცა, პროცენტულად ზრდა გაცილებით მეტი გამოვიდა, ვიდრე - შემცირება. კომუნალური გადასახადების უცვლელი წონის პირობებში, აღნიშნულმა სხვაობამ წლიური ინფლაციის დონე მომდევნო ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 1.2 პროცენტული პუნქტით გაზარდა. ნიშანდობლივია, რომ ამ სუბსიდის საბაზო ეფექტი წლიური ინფლაციის მაჩვენებელს 2021 წლის დეკემბერსა და 2022 წლის იანვარ-თებერვალშიც მნიშვნელოვნად გაზრდის.

ახლა ევრანზე ჩანს არსებული პროგნოზი, რომლის თანახმადაც, სხვა თანაბარ პირობებში, 2021 წელს ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება. წინა - 17 მარტის - სხდომის შემდეგ შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით, განახლებული პროგნოზით, ინფლაცია, სხვა თანაბარ პირობებში, 2021 წელს საშუალოდ 6.5 პროცენტის ფარგლებში იქნება და შემდეგ მიზნობრივ დონეს ეტაპობრივად დაუახლოვდება.

ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის გამო, გაცვლითი კურსის ცვლილების გადაცემა ინფლაციაზე - საგრძნობია. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სავაჭრო პარტნიორ ეკონომიკებში ბოლო პერიოდში განვითარებული პროცესები, გარკვეულწილად, ადგილობრივ სავალუტო ბაზარსაც გადმოეცემა. საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდისგან მომდინარე წნეხიც ნარჩუნდება. ამასთან, საქართველოში და გლობალურადაც ტურიზმის ინდუსტრიის პერსპექტივებთან დაკავშირებით კვლავ მაღალი გაურკვეველობაა.

გარდა ამისა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიზნობრივზე მაღალი ინფლაციის მაჩვენებელი ინფლაციის მოლოდინების ზრდის რისკებს აძლიერებს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, კომიტეტმა 28 აპრილის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკა კიდევ უფრო გამკაცრა და განაკვეთი 1 პროცენტული პუნქტით, 9.5%-მდე, გაზარდა. მონეტარული პოლიტიკის შესაძლო შემდგომი რეაქცია ინფლაციის მოლოდინებსა და მასზე მოქმედი ფაქტორების დინამიკაზე იქნება დამოკიდებული.

გასათვალისწინებელია, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პროგნოზი არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის დაპირებას მონეტარული პოლიტიკის მომავალ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ის ასახავს საორიენტაციო ტრაექტორიას იმ დაშვებით, რომ ეგზოგენური ფაქტორები პროგნოზში გათვალისწინებული სცენარით განვითარდება. შესაბამისად, თუკი საგარეო ან შიდა ფაქტორები მოსალოდნელისგან განსხვავებული იქნება, ეს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, შესაბამისად, ეროვნული ბანკის მომავალ გადაწყვეტილებებზეც მოახდენს გავლენას.

2020 წლის მეოთხე კვარტალში, კორონა ვირუსის შემთხვევების მკვეთრ მატებასთან ერთად ახალი შეზღუდვები დაწესდა, რაც ეკონომიკურ ვითარებაზე უარყოფითად აისახა. ეკონომიკური ვარდნა, მეოთხე კვარტალში 6.8%-მდე გაღრმავდა და ეკრანზე გრაფიკი სწორედ ამ სურათს ასახავს. წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს ეკონომიკურმა ვარდნამ, ჯამურად, 6.2% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ზრდაში წმინდა ექსპორტის წვლილი მკვეთრად უარყოფითი იყო, მაშინ როდესაც წინა წლებში ექსპორტის მნიშვნელოვანი წილი ტურიზმის ექსპორტზე მოდიოდა და ეს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი იყო. წმინდა ექსპორტთან და ინვესტიციებთან შედარებით, 2020 წლის განმავლობაში მოხმარება შედარებით ძლიერი იყო, რაც პანდემიით გამოწვეული შედეგების შერბილების მიზნით გაზრდილ ფისკალურ სტიმულსა და ეკონომიკის დაკრედიტების შენარჩუნებას შეიძლება დავუკავშიროთ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის დასაწყისში კლების შემდეგ ინვესტიციების წვლილი მეოთხე კვარტალში ისევ დადებითი გახდა. ეს მნიშვნელოვანწილად ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ინტენსივობის შედეგია.

მიმდინარე საბაზო პროგნოზით, 2021 წელს ეკონომიკის 4 პროცენტის ზრდაა მოსალოდნელი. კორონავირუსის დაძლევის პარალელურად, მოსალოდნელია

უცხოეთიდან ტურისტული შემოსავლების ნაწილობრივი აღდგენა, რის გამოც, წმინდა ექსპორტის უარყოფითი წვლილი 2020 წელთან შედარებით შემცირდება, ზრდის მთავარი მამოძრავებელი კი მოხმარება იქნება.

დიაგრამა მკაფიოდ აჩვენებს, რომ ტურიზმის ექსპორტის მკვეთრმა ვარდნამ, მიმდინარე ანგარიშის ბოლო წლების პოზიტიური დინამიკის მნიშვნელოვანი გაუარესება განაპირობა. 2020 წლის მონაცემებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობამ მთლიან შიდა პროდუქტთან 12.4 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და პროგნოზებსა და შეფასებებს მონეტარული პოლიტიკის განახლებული ანგარიშით წარუდგენს დაინტერესებულ საზოგადოებას.

გმადლობთ ყურადღებისათვის!